

# საქართველო განცხადება

სურათების რამატება

გაცემის № 988

დამაცემის № 174

პირა, 8 სექტემბერი 1913 წ.



U.S.A.

ფოთის ქართველ მომღერალთა გუნდი და მისი ლოტბარი ავჭ. მეგრელიძე (შუაში ზოს).

## მ ა ვ ი რ ა ვ ი ნ ი

ვ თ ე მ ა

(დასასრული \* )

ვ ა რ ი ვ ა ს ა მ ა .

ბუკა ჰერეს და წინწილამა სამწუხარო ხმა გამოსცა,  
ომარ მეფის მწუხარება ამით ემცნო მიღამოსა,  
მარმარილოს სრათა ბოძნი შავის ფლასით შეიმოსა.

ვ ა რ ი ვ ა ს ა მ ა .

ზღვის პირად მდგარ სრას მიადგა,  
ცხენისანი ვინმე მქისი,  
გარს უარა, მაგრამ ვერსით  
შესავალი ჰპოვა მისი.  
ფეხი ჰერა და ერთ ადგილას,  
შიგ შეაბა ამით კარი,  
სრას-ასახლე იდგა მარტო  
თითქოს იყო გამომკედარი,  
არსათ სჩნდა ალარი მკვიდრი,  
არც დარაჯი სადმე მდგარი.

\* ) იხ. სურათებიანი დამატება № 173.

სრის გარშემო ყოველი მხრით  
ხედავს წალკოტს ყვავილოვანს,  
შორი-ახლო ცივ ბინულებს,  
მომჩერებს, მარალ ხმოვანს,  
გარღ-ნარიზებს მათ ნაპირად  
მუშკამბარის აღმა კმევით.  
ჩრდილო არშია ძირს მიწაზე  
თამაშობდა ნელის რხევით.  
მარმარილოსა ქანდაკი  
ფოთლებ შორის გამოკრითოდენ,  
თითქოს ქალნი ჰაემანზე  
იცდიდენ და ვნებით თრთოდენ.  
მათ სირიტვლეს ფოთოლთ კაბა,  
ხან მოსავლა, ხან ამხელდა;  
ჰა, გამოჩნდა ბროლის ტანი—  
თითქოს უცემ ეცა ელდა—  
კვლავ ფოთოლი აშრიალდა  
და ასულიც მიიმალა,  
მაგრამ ახლა სხვა მეორეს  
სამოსელი აეცალა.  
და იმ წალკოტს ყვავილოვანს



პანაშვილი წიწამერი, იმ ადგილას სადაც ილია ვერა-  
გულად იქნა მოკლული.  
(იხ. დღეგანდელი გაზეთი).

ბილიკები აჩნდა ხაზად.  
მოლს, ბუნების ხელით ნაქარგს,  
მიმოფენილს ფიანდაზად,  
თითქმის ასულთ აჩნდა კვალი.  
არსათ ხმა. გარს მეფობდა  
მყუდროობა იღუმალი.  
და ქარვასლას, ცად აღმართულს,  
კედლებს სურო უმოსავდა,  
შორიდან რო შეგეხედა,  
მწვანე გორაკს მიაგავდა.  
აქა-იქ თუ სუროს ქათიძს  
ხვლიკი მარდად შეარჩევდა,  
გაირჩენდა და ისევე შესლევბოდა,  
თავს ასწევდა...  
შეი გიპსის რამ ქანდაკსა  
კართან ჰედავს, ძირს ფეხმორთხმულს,  
თითქოს ის და სლაბაჯობდა  
სრას, წალკოტით გარს შემორტყმულს.  
კიბეს აჲყა, მაგრამ ერთ წამს  
თითქოს რალაც მოაგონდა.  
ძირს ჩავიდა, ცხენს მოქადა  
აბგა რამე თან რო ჰქონდა  
და კიბილან შესავალში  
ზღვის ღინკილის იწყო ბნევა,  
რომ მით, უკან დაბრუნებულს,  
შეძლებოდა გზის გაკვლევა.  
ხედავს: პალატთ მიტოვებულთ  
კიბე მაინც არ ილევა.  
ლია დარბაზთ: შიგ ავეჯებს,  
ნაქსოვ-ნაქარგს ოქრო-მკედით,  
თითო მათგანს, ორი კარი  
ჰქონდა: წინ და ერთიც გვერდით.  
ძვირფასს საკრავთ დაკიდებულთ  
ამშვერებდა სპილოს ქალი,  
აბჯარი და შეარადნი,  
მშეილდ-ისარიც სხვა მრავალი,  
საჭურქლესა ეგზომ ურიცხვს  
პირველს უმზერს მისი თვალი.  
ნოხ-ფარდაგებს ნარინჯის ფერთ,  
იატაკზე მიმოფენილს.  
ოქსინოთ და სტავრათ ციმუშის  
ვერ აშორებს თვალს დატყვევნილს,  
ღმერთთა სამყოფს მიაგავდა  
უპატრონოთ აწ დარჩენილს.

კვლავ წინ მიდის.

ახლა ხედავს, კიბე იგი რომ გათავდა,

მაგრამ კოშკის ეს ნაწილი.

სხვა დარბაზებს აღარ გავდა.

ქოშკის თავზე ხედავს თოასს,

ბროლის კედლებს მის გარშემოთ.

მცირე სარკმელს ოდნავ ღიას,

დაბალი კარის ცოტა ზემოთ.

და, რა სარკმელს, მიახლოვდა,

გასაღებათ სწვდა ცალ ხელით,

ვილაც ქალი თეთრ სამოსში

წამოიჭრა სარეცერით.

ქალი შეკრით, ელდა ნაცემს

უცნობს თვალი მიაშტერა.

ვაზი სდუმდა, თითქოს ბაგეს

დავიწყნოდა ხმათა ბერა,

წამს წამოსცდა ხმის კანკალით:

— „ეს შენა ხარ ქალეთერა?!

### ქალი.

მიკვირს, ვინ ხარ, ჩემ სარკმელში

უკითხავად რო ყოფ მაგ ხელს.

რა გურის ჩემგან, მსურს ვიცოდე,

ვინ მიწოდებს მე აქ სახელს?

### გაუ.

რაზე გიკვირს, მზეს თუ ელტვის!

მზის უმზირა რა თვალს ახელს!..

ქალს ამაზე გაელიმა, გაუწიოთლა სახე მკრთალი,

წამსვე პირზე მოიფარა მხრებზე შლილი თმის დალალი

და, რა თმაზე მიიტანა ქალეთერამ ხელი ცალი,

წამს მხრებიდან ძირს შრიალით გადმოცოცდა თხელი შალი,

აწ სიტიტვლეს ვერ ფარავდა სხვა სამოსი გამჭვირვალი

და კაბუკმაც თვალი მოჰკრა, ვით ამკობდა ძუძუს ხალი.

### გაუ.

თავხედობად რო მიიღე, მიზეზს გეტუვი ჯერ მაგისას,

და მერე კი — ვინაობას, ბოლოს — საგანს ჩემ გაქრისას.

ქვეშ დარბაზნი უპატრონოდ ოდეს ვნახე, არ მიამა.

ქალს ამ თახს მოვადექი, მე მეგონა ესეც ტრამა,

ამიტომაც სარკმელს ხელი შესაღებად გაუწოდე,

მაპატიე, ჩემო სულო, უნებურად თუ შეგცოდე,

მაპატიე, უბელურმა გაგარისხე თუ კი რამით,

გორიოტება გულს არ მქონდა, მომივიდა ეს სიხამით.

რადგან მკითხე, გეტუვი: სახელს მზე კაბუკსა მეძახინ.

მე აქ თუ რამ მომიყვანა, ამაზე კი კოტა გვიან.—

მე ვიყავი დიდი ომარ მეფეთ-მეფის ლვიძლი შეილი;

მამის სახლში გავატარე მე ბავშვობა ესლენ ტებილი,

არც მინახავს, სიკაბუკემ გაირბინა ჩემს წინ ისე,

ლაშერობას და ნადირობას ვით ზღვას თევზი შევეთვისე.

მამა ჩემის ხელით ზრდილი, ვიყავ შეილი ერთად-ერთი.

მაშინ ქუდათ ცა მიმაჩნდა და ქალამნაც ძირს ხმელეთი.

სწორედ ამ ღროს, ჩემო მნათო, შენს ხატებას მოვკარ თვალი,

ის-ის იყო რაც მე სევდას დავემონე როგორც მხდალი.

„რასაც ეძებ იძოვნიო“ — თუმც ხმა შესმა იღუმალი.

ძილს-სიზმარი, ნათელს-ჩრდილი, მუდამ ახლავთ თანამსრბოლი,

შენც თან სდევდი ჩემს ოცნებას, ბაგე ლალი, ტანი ბროლი.

გადავწყვიტე, გავტრილი უყავ შენ საძებრად ზღვა და ხმელად,

მშობელ კერის მოშორება დასათმობი არს თუმც ძნელად.

მამა-ჩემმა მომიგზავნა ვეზირების უხუცესი,

რომ გაეგო წასლოს ჩემის ან მიზანი, ან მიზეზი.

წასლოს ჩემის მიზნის თქმაზე ცივ უარი შეუთვალე.

მამა ჯავრით წვერს იხოვდა, მაგრამ წასლოა-არ დავშალე.

მოხუც მამის ურვა-ჩივილს ერის მოთქმა ბანს აძლევდა,

ვგრძნობდი ორთავთ სულის ტკივილს, ჩემი ლოროლვა გადას- ძლევდა.

ერთხელ, ღამით უმძინარი ავდექ ჩუმად სარეცელით.

ცხენი თავლით გავიყვანე, თვით შევკაზმე ჩემი ხელით.

საჭურტლე და სამზადისი, რა შევკარი, დავაზხადე,

გასარვად გამოვეწყვე, ზრახვა არვის გაუცხადე.

ტანს აბჯარი გადავიცი, წელს შევირტყი ჩემი ხმალი,

„რასაც ეძებ იძოვიო“, ხმა მესმოდა იღუმალი.

და, აენთო რა ცისკარი, წამს ქურდულად გავიპარე,

წინ დავსტროვ მე უსტარი, მოხუც მამას დაუბარე:

უამას გთხოვ: ნუ იჯავრებ, მოთმინგა მუდამ გქნის,

რაც გინდ დიდხანს არ მოვიდე, რაც გინდ ბევრი დამაყონდეს.

რასაც ვეძებ, იმის პოვნა თუ განგებამ არ ისურვა,

## „ოქროს კარიანის“ დღესასწაული—სამების მთებზე, (დღე შეთის მაზრა)



„დღეშელები“ თავ. 6. ერისთავისა და ახალგორე-  
ლების მისალოცად მიღიან.

შაშინ გმართებს შენი შვილის ერთან ერთად მოთქმა-ურვა“. იმ დღის შემდეგ შენ დაგეძებ, გაირბინა წელმა სამა— რაც დავაგდე ერი ჩემი და ცრემლოვრაში ბერი მამა— რაც ბნელაში მივატოვე ჩემი ქვეყნის მთა და ბარი. აპა, მოველ! ჩემი სულო, ჩემი სულო ტკბილ-ნარნარი შენს სწრაფაში ეგრე კვნესის, ვით ელლის წმინდა ქნარი, მოველ ჩემო, გულს მომეშვა, გამიახლე ვარდი მქნარი. ჩემო! რისთვის დაგიკეტავს ემაგ რიგად კარის რიდე, შეიწირე ჩემი სული და მწველ სევდას აძარიდე. სულო ელანდების, რომ ეგ სახე, რომ ეგ სახე იდუმალი, თითქოს ცხადად დამენახოს ეგ გულ-მკერდიც ბროლ ფიქალი, თითქოს კულულთ ოქროს ტალღა ამ თითებით დამერხიოს, შენი სიტყვა, ხმისა ბერია მოეტანის ჩემთვის სიოს. ეგ მკლავები ლალად ნაკვეთ მაგ ოეთრ ტანზე შემომექულოს, ე მაგ ძუძუს ტურფა ხალზე თითქოს კოცნა აღმეტექდოს, და ის ბაგეც, რო ვადარე ატმის ყვავილს პირ გაპობილს... ქალეთერავ, მოედარე შენის ტროფობით ლახვარ სობილს!

### ქალეთერა.

ხვაშიადს რო გაგიმხელდე, ვგრანებ, ვიზამ მით უკეთესს, ნაფიქრ-ნაგრძობის დამალვა, ეს ზნეთა სჭირს მთელ ქალთა სქესს.

მართალს გეტუბი: შენ რომ ეზოს შემოალე წელან კარი, მოწყენისა გასაქრობად, სარქმელს ვიყავ გადმომდგარი.

მაგრამ შენ რო შემოგხედე, უნებურად გავიხარე.

მაგ ბრეგ ბეკთა დანახვაზე ფიქრის ჯანი უკუ ვყარე.

გაგიტუდები: შენებრ ჭაბუქს ეს თვალები უმხერს პირეელს. ჩემ მშვენების მოტრფიალეს, თავის მსხვერპლად შემომწირ-

ველს.

წამს ოთახში შემოვვარდი, სარეცელზე წამოვწერე, მაგრამ წამსვე მოუთმენლად ისევ ფეხზე წამოვდები.

ისევ სარქმელს მივაუზრე, თვალს სწყუროუ კვლავ ენახე, და, ეზოში რა ვერ გამოვე, ვინანე და ვივაგლახე.

ყველა ეს რათ შომდიოდა, ვერ ამეხსნა, არ ვიკოდი, სარეცელზე პირქვე მწოლი, შენს ლოდინში ვნებით ვთრთოდი.

კარს კი გაინც ვერ გაგიღებ დახშულია იგი გარედ— გასაღებიც აქვს მას ვისაც...

### ქალი ვაჟეკაცს მიაჩერდა—

და ყმაწვილსაც ელდა ნაცემს გული თრთოლვით აუძგერდა.

უტყვ შეხედამ ჭაბუქის გულს ხვაშიადი აგრძობინა, — „მითხარ, სულო, ჩემ სიცოცხლეს აგრე მწარედ გრანჯავს ვინაზ“

### ქალეთერა.

რა ხანია რაც შეა რაინდს მე აქ ვაჟევარ ტყვედ პყრობილი, რაც დავტოვე ზღვის წილში მე ცხოვრება ესდენ ტკბილი.

### შე ჭაბუქი.

ჩემო ყველავ, ჩემო მნათო, სახით ბატრო, ტანად ბროლო, მიმაშავლე მაგ რაინდთან, მსურ შენს მტანჯველს შევებრძოლო, მას მოვკლავ და შენ დაგიხსნი, ან მომელოს მისგან ბოლო!



გ ი რ ი თ ი.

### ქალეთერა.

ის შორსა ამ შხარეზე, მთის გადაღმა, ჯაღო ტყეში, გაპივრებას ბეგრს შეხვდები იქ მისვლამდი, გზად კლდე-ლრეში, მაგრამ ერთი ხერხი გმართებს შენ წინდაწინ რომ ისწავლო, ხმალ-კაბარე უნდა ჯერედ ვერცხლის წყალში ამოავლო. ერთიც კიდევ: სახეს მისსას ნილაბი რამ შავი ჰერაბავს, მის ფეხის ხმას ვერ გაიგებ, ვერც შეამჩნევ ძლიერ მომპარავს, ფრთხილად იყავ, პირის სახე არ გინახოს როს ეკვეთო, ამისთვის კი შენცა გმართებს ნილაბი რამ გაიკეთო.

და ნილაბი უნდა იყოს ან წითელი, ან და თერთი; ამ პირობით ხმალი მისი დაბლუნგდება ესდენ მკვეთრი. სანამ ბრძოლა არ გათავდეს, მომონიგებით ჰეამს უცალო, ვიდრე ნილაბს არ აიხდის მანამ არც შენ აიხადო.

გადიარო რა მინდვრები, ტყე ულრანი, შავი მთები, ჯაღო ტყეში რაკი შეხვალ, ერთ ნაცრისფერ ჩიტს შეხვდები. მის ხახილი სხვისას არ გავს, კიდეც ხმაზე გაარჩიე—

გზას გაიკვლევ უტეს ტყეში, თუ კვალ-და-კვალ მას მისდიე. თან რაინდი რა გამოჩადეს, შენ პირველად შეუტიყ.

როს მომიხვალ, ძლევა მოსილს შეგეტქო და შეგხარო. ვარდათ ნახლებ ბაგეთაგან უკვდავების გასვა წყარო,

როს მომიხვალ, ჩემი მზეო, გავიხარო, გაგახარო. მაგრამ დილხანს ვერ მოგაცილი, ბეგრი აღარ დაგაუყონდე.

სახე—ქარვის, ბაგე ძოწის კვლავ ამგვარად უნდა გქონდეს— ეგ თვალებიც ცეცხლის მფრქვევი, ალვა ტანი გქონდეს მკეცრად,

ეგ კულულიც წაბლის ფერი, რომ გაყრია მხრებზე ტევრად, კარგათ იცი ლოდინს—სწრაფვა, ტანჯვას—ლხენა რო სჯობს ბევრად.

ეს იცოდე, დილხნის გაყრამ არ გაგტეხოს, არ მოგხაროს, კვლავ ამგვარად უნდა გქონდები მზე ჭაბუქის ტანად საროს, თუ კი ერთხელ სუსხმა ვარდი გაახმოს და დაამკნაროს, მას მგოსანი ვერას გახდეს, თუ გინდ ცრემლიც ბევრი ლვაროს.

### კ ა რ ი გ ი რ ე უ თ ე.

ვით ქარი უდაბნოს, გრიგალი ტყის,

ეს ვინ რბის მარტოკა, დაეგებს ვის?

ყორნის ფერ მერანზე ჩაუქი ზის,

ტაიჭის ფეხთა ქვეშ მიღმო თრთის,

ვერ აკრთობს მას ველარც სიშორე გზის,

ვერც კლდე-ლრე უგალი, ვერც ზვავი მთის,

წაბლის ფერ კულულებს, წაბლის ფერ თმის,

ქარი—მის განიერ ბეკებზე ჰყრის;

ამყოლი ნაცრისფერ ფრინველის ხმის,

მერანი ფრუტუნგებს, მერანი რბის...

მხედარი ჩამოხტა მუხნარის ძირს.

კვლავ მედგრად მიაპობს—ეწერსა ხშირს.

ვერ ვინ სცნობს მხედარისა, ვინ არის ის?

წითელი ნილაბი უფარავს პირს...

„მერანო, ნუ გაკროთობს გრიგალი ტყის,

ნურც ნადირთ ლმუილი, ნურც ზათქი მთის!“

ამყოლი ნაცრისფერ ფრინველის ხმის,  
მერანი ფრუტუნებს, მერანი რბის.

## კარი გვიანი.

## ჭინკების ყიუინი.

შუა ადგილას ცეცხლზე ქვაბი დგას. ოშეივარით სავსეა  
მთელი ლვიმე—კედლის სარკე იორთქლება წამ-და-უწუმ—  
იქვე დგას ბერი ჭინკა და სირინიზის ფრთხებით სწმენდს სარ-  
კეს. ფერიები მის გარშემო დგანან და ცნობის მოყვარეობით  
ადევნებენ თვალს მოხუც ჭინკის ყოველ ხელის განძრევას.  
მოხუცი ჭინკა შლის სარკეზე ორთქლს.

## ბერი ჭინკა.

მთის გადაღმა ორ გმირთ შორის ბრძოლა არი  
განამწარი,  
თრთის და კუთავს მთა და ბარი,  
რახტა ცემის გამოძახილს ზათქით აძლევს ბანს ნაძვნარი.  
ხმალთა წერიალს,

აბჯრის ჩერიალს

შორს იტაცებს ნიაგერა—  
და ბრძოლის ცეცხლს დაუშრეტელს

მით უმედავნებს კიდით-კიდეს.

ფრინველთა და ტყის ნადირთა  
ბრძოლის შიშით ხმა გაქმიდეს.

ბრძოლის ცეცხლი მებრძოლთ გულში  
არ—ყუჩქება, არა სკერება,  
სანამ მზისა ძეროს ეტლი მთების იქით არ ჩაჰქრება.  
სანამ ნისლის თეთრი ჩაღრი არ დაფარავს შორს მაღალ მთებს,  
სანამ ღამე გასაშლელად არ აიკრეფს თვის თალს კალთებს.  
იარაღის მათსას ბჟევრიალს ვერ უსწორებს კაცი თვალთა  
ლამის ზეცა დააბნელონ მათ ცხენების ნატერფალთა,  
აწ მდინარის პირს იბრძვიან, რა დასტოვეს მთისა კალთა.

## პაუზა. სარკე იორთქლება. კელავ შლის. აცექერდება.

კელავ მებრძოლნი შეიყრენ

შუბი შუბსა დაატაკეს,

შავ რაინდსა ვვონებ სისხლი

შეუღებავს საკურტაკეს.

შეხე, შეხე ვით იფარავს თავს მტრისაგან ეს წყეული,  
შეხე, როგორ აცილა რახტი მარჯვეთ მოქნეული,  
განატყორცნ შუბს კარგად ვხედავ, შავმა ფარი შიაშველა,  
საფრთხე ელის წითელ რაინდს ვაჰმე, შველა, ვაჰმე, შველა!

ფერიები. ჩურჩულით (ერთხმად.)

წითელ რაინდს საფრთხე ელის;

ვაჰმე შველა, ვაჰმე შველა!

## ბერი ჭინკა.

დღეს გადაწყდეს, ასე ვვონებ, თუ ვით სწალის ბელის წერას,  
ტყვეობიდან თავის დახსნა თუ მოელის ქალეთერას.

თუმც პირველად წითელ რაინდ ერგო წილად გამარჯვება,  
ეს ვინ უწყის საბოლოოდ ორთა შორის ის ვის ხელება.

დასაწყისი არ ვის ახსოებს, არც ის, როდის გათავდება;

ზენარსის ხვაშიალსა ვინ შეიტყობს, ვინ მიხვდება.

ფერიები ერთხმად.

ზენარსის ხვაშიალსა ვინ შეიტყობს, ვინ მიხვდება?!

ერთი ფერია:

„ ვინ შეიტყობს ვარსკვლავთ სრბოლას, ვინ შეიც-  
ნობს ვარსკვლავთ ენას,  
ყვავილთ ცრემლებს, ყვავილთ ჩივილს, და იდუ-  
მალს მათსა ფშვენას.

ფერიები ხელებს მაღლა აღაპერობენ.

ერთი იწყებს სხვა აჟყვება.

კელავ აღიგე ნეტარებით,

კელავ ატოკლი შვებითგულო,

სიზარეთით მოგვევლინე

ფრთა ფარფატა სიხარულო,

გაგვიფანტე მწუხრის ბინდი.

მოვედ, მოვედ მზის ასულო—

სიხარულის მოციქულო,

კოდვილ მიწად აღმობრწყინდი!..

მზის ამოსელის მახარობლად

ამეტყველი ჩანგი ობლად,

შვების ღმერთის ნელ სუნთქვაზე

ახმაურდი, აქვითინდი,

მზევ, ზლის წიაღს ჩაძირულო,

მზევ, ქვეყნისთვის ბნელს ჩანთქმულო,

ცის მკრთალ ღაწვეზე აღმობრწყინდი.

## კარი გვიანი დ. ე.

ჰა, შეიბნენ მესამეჯერ, მეომარნი გულ-ფიცხელნი

შუბის ტარნი უკუ ჰყარეს, მიატოვეს თვისინი ცხენნი,

ვითა ლომი და ძუ ვეფხი კვლავ იბრძვიან განამწარი.

არ ცხენ და ცხენ, ხელ ჩართულად, გულ უდრევნი მკლავ

მაგარნი,

ჩაჩქანთა და აბჯართ ულერამ ნადირთ დასუა შიშის ზარნი.

ბრძოლის გრგვინვა შორს გაისმის, ძირს მიდამოს მიერხევა,

შუბის ტარზე მზე დამდგარა—და არ სწყდება ისართ სრევა.

ჰა, შეიბინდღა. დაპკრა სიომ, დასავლისკენ მზე იხევბა,

შალე, ვითა საყვარელნი, დღე და ღამეც შეიყრება.

ბრძოლის კეცხლი კვლავ გუზეზებს, ბრძოლის ცეცხლი

კვლავ არ სცხრება.

მარმარილოს ღრუბელთ კოშკი აღაულავდა ძოშის ფერად.

ტყის მგოსანმა ჩანგი მორთო ლოცვის უამსა ასაელერად.

მწუხრის სიომ ლეგა ნისლი მთების იქით გადალალა,

და თავდახრილ ტყის ყვავილებს საყურენი ააცალა,

მოლს ქანირი დაუვარცხნა ტკბილ ტიტინით მიეფერა,

ფრთა ფარფატით ტყებ გადავლო, ტბაზე ისლი აამღერა.

ყვითელ ლიმად ცას დააკვდა ღაწვებებს აკროსდა კორდზე კდემა,

მზე ჩაშვა. შესწყდა კიდეც ხმალთა ქნევა, რახტის ცემა.

და მებრძოლთაც იარაღი ძირს დაპყარეს მწვანე მოლზე.

სისხლის წვეთი გაილესა ვერცხლის ნაშში ტყის ცოთოლზე.

მებრძოლთ გული დალლილობით ტოკავდენ და ქშენით

სდგროდენ.

ტანნი აბჯრით განიძარცეს, ურთიერთსა შეაცექერდენ.

აწ ნილაბის ახდა იწყეს, ბრძოლის შედეგს რა დასჯერდენ.

სღუმდენ ირნივ—და მათ ფე-ქვეშ ძირს განთხმულნი ველ

მინდორნი.

გამარჯვება არვის ერგო. ოშში ორნივ დარჩენ სწორნი.

სხვა გზა მეტი აღარ ჰქონდა ყოველ მათგანს იმის გარდა,

რომ თვითონვე პირს ნილაბი თავის ხელით აეხადა,

მეორისითვის ვინაობა თვითოვე უნდა გაეცხადა.

მზე კაბუკი ელვა მკრთალი, თვალს შავ რაინდს მიაშტერებს,

გონების ხმა ყურს არ უგდებს, თვისვე თვალებს არ უჯერებს.

ხედავს რაინდს შავად მოსილს, რა ნილაბი აეცალა,

გამოაჩნდა თეთრნი კბილნი და გამხმარი თავის ქალა.

თვალის უბე კარიელი, გამომყურე კუპრივ შავად,

ძირს ხელები დაშვებული ხმა გაქმედით დგას უძრავად.

მზე კაბუკი შეტორტმანდა, შავი შიშის ელდა ეცა.

ვით ბალახი მოცელილი, სალ ნაპირზე მოიკეცა—

მის ბერე თვალებს პირს, შიშმა სულოქმა აასკეცა.

ვერც მოესწრო წყლის სარკეში თავის სახის მას დანახვა,

რომ რაინდსა მას უშიშრას პირით მოსწყდა ჩუმი აა გა

ეს რა ნახა? რას მოესწრო? თმა სულ გადათეთრებოდა.

ლაწვეს ცრემლები უსტყვავდა, გულს გენია ედებოდა,

მღინარე კი შის ფერხთა ქვეშ უდარდელის ცეკვით რბოდა...

მეზობლისკენ გაციხარა

ერთ შტო-შემხმრ ნაძვის წვერი

თითქოს წყლის პირს მტირალ კაცზე

მეგობარ ნაძვის უთითებდა:

„ხომ მოგხარა, ხომ მოგხარა!“

ის ფრინველი ნაცრის ფერი,

კვლავ მზაკვრულად ხითხითებდა.

ველზე ლაღად ლივლივებდა ნელი სუნთქვა ეოლოსი—

ლოცვის უამზე ცრემლს აფრქვევდენ ძირს ნარგიზნი ნორს

მდელისი,

ცის ეთერად მიფრინავდა სიკედილისა ანგელოსი.

ელვის ისრად განატყორცნი შავს არწივსა მიაგავდა,

და ხანგრძლივი ბრძოლის ჯილდოთ, მიწის მსხვერპლიც თან

მიჰყავდა.

კონიგსბერგი. იანვარი 1912 წ.

ჭ. აბაშისპირელი.